№ 207 სექტემბერი 29, შაბათი 1890 სექტემბერი 29, შაბათი № 207

გაზეთი ღირს

თვეზე	მან.	კ.	თვეზე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუგიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 2 ოქტომბერს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

მე მინდა კნეინა გავხდე

კომედ. 2 მოქმედ. თხზ. ზ. ანტონოვისა

II

ოინბაზი

ვოდევ. 1 მოქმედ. ა. ცაგარლისა

დასასრულ

ლეკური

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, მელიქიშვილისა, ტატიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, განდელაკი, იოსებიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, 30 ენკენისთვეს, კვირას, დილის 11 საათზე, მოხდება წლიური კრება.

ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა

კრების საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიშისა და მომავალის წლის საერაოდო ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2) ახალის წევრების არჩევა.

(2—1)

დ. ი. კეზელი

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი. (20—6)

სათეატრო განცხადება

ვისაც ჰსურს ემსახუროს ქართულს სცენას, მიჰმართოს ბ-ნ ვ. ა. აბაშიძეს ქართულს თეატრში დილის 10 საათიდგან 12-მდე. (10—9)

ახალი ამბავი

⁂ სახელმწიფო საბჭოს წევრი, საერო განათლების მინისტრად ნამყოფი დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ბარონ ნიკოლაი ორმოც-დაათის წლის იუბილეის სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას ორშაბათს ღვინობისთვის პირველს შინაურულად იდღესასწაულებს.

⁂ ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვიშნეგრადსკი, როგორც შევიტყეთ, კახეთში აღარ გაემგზავრება და ღვინობისთვის პირველს ბაქოდგან პირდაპირ ამიერ კავკასიის რკინის გზის საგანგებო მატარებლით ბათუმს წავა.

⁂ ბელგიის ელჩი საზღვარ გარეთიდგან გუშინ-წინ დაბრუნდა ტფილისში და ჩაიბარა საქმეები საფრანგეთის ელჩისაგან.

⁂ გორის მაზრის, ტყვიავის განყოფილების ბოქაულად, ტფილისის გუბერნატორის ბრძანებისამებრ, ამ თთვის 30-დგან დანიშნულ იქმნა ჩუღურეთის მერვე განყოფილების ბოქაული ბ-ნი ალ. ჩიკოიძე.

⁂ ყველას ენახვება ჩვენს ქალაქში კროები, რომელნიც ხალიჩა-ფარდაგებსა და ლოგინს თხოულობენ, გასარეცხად მოგვეცითო. მაგრამ ყველა ესენი-კი ერთნაირად სანდონი არა ყოფილან და, თუ მოახერხეს როგორმე, ბევრი მათგანი ცდილობს გასარეცხად წაღებული ხალიჩა თუ ფარდაგი პატრონს აღარ დაუბრუნოს და თვით შეინარჩუნოს. ამას წინად ერთი ამისთანა კრია-დედაკაცი, რომელსაც წაეღო გასარეცხად თითქმის ოცის თუმნის ხალიჩა ფარდაგები, შეიპყრო პოლიციამ სწორედ იმ დროს, როდესაც დედაკაცი ტფილისიდამ აპირობდა წასვლას და გასარეცხი ხალიჩა-ფარდაგები-კი ზოგი დაეგირავებინა და ზოგი გაეყიდნა.

⁂ ახირებული საქმე ემართება ჩუღურეთის ქუჩებს. გამგეობის გამგეობით სახლის პატრონები დიდი ხანია ვალდებულნი არიან, თავის სახლის წინ ბულვარი გააკეთონ. აკეთებენ, მაგრამ ყველანი-კი არა, ზოგიერთნი. საკვირველი ის არის, რომ ქუჩის ერთს მხარეს რომ აკეთებს სახლის პატრონი, მეორე მხარეს გაუკეთებელი რჩება და ქუჩა ცალ ულვაშ მოპარსულს კაცს ემსგავსება. მაგალითებრ, პანასეის ქუჩაზედ ვილაც მკერვალმა თავის სახლის წინ ბულვარი გააკეთა, ქუჩაც შუაზედ გაჰყო და ნახევარზედ ქვაფენილი დააგდო. ამასობაში მეორე მხარის სახლის პატრონი ყურსაც არ აფაჩუნებს. ეხლა ქუჩის ნახევარზედ ქვა ჰფენია, ნახევარი მიწა-გორახი და ოკრო-ბოკრო ადგილია, ერთს მხარეს ბულვარია, მეორეზედ ისევ გორახი მიწა.

⁂ ქუთაისი: ამას წინად „ივერიაში მოხსენებული იყო, რომ ჩვენს საქალაქო თვით-მმართველობას რამდენიმე საქმე აქვს საწარმოებელი და რომ ამ საქმეებს გასაძღოლად ბ-ნს ქალაქის თავს დაავალა პეტერბურგს წასვლაო, ამ საქმეებს გარდა სხვაც ბევრი საქმე ჰქონია ქალაქს: შარშან რამდენსამე საქმისათვის მოუკიდნია ხელი, როცა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ქუთაისში ბრძანდებოდა, და იმათ გარდაწყვეტას გულის ძგერით მოელოდა, რადგანაც, ბედის ჩარხი რომ წაღმა დაბრუნებულიყო, შეძენით ბევრს რასმე შეიძენდით, მაგრამ, როგორც ეხლა აღმოჩნდა, ეს საქმეები კარგს ეტლზე ვერ გამოუწყვია. რა საქმეებსაც ვგულისხმობთ, ახლავე მოგახსენებთ.

წარსულის წლის ენკენისთვეში, ქალაქის თავმა სახელმწიფო ქონებათა მინისტრს თხოვნა მიართვა, რომ ხაზინამ ქალაქს დაუბრუნოს ის ოთხი ნაჭერი მიწა, სივრცით 91 ქცევა 756 ოთხ-კუთხი საჟენი, რომელიც ამ ოცის წლის წინად გაამიჯვნინა და დაისაკუთრა; ეს თუ შესაძლო არ იქნებაო, მოხსენებული ყოფილა ქალაქის თავის თხოვნაში, იმ მიწის მაგიერ ეკლარის სახელმწიფო ქვა სატეხი დაგვითმეთო; ამას გარდა ქალაქის თავი იხვეწებოდა, რომ ხაზინამ ის რამდენიმე ნაჭერი სახელმწიფო მიწა დაუთმოს, რომელიც ქალაქის წრეში მდებარეობსო, და აგრეთვე სახელმწიფო ფერმაცაო.

ეს თხოვნა ქალაქის თავისა განუხილავთ ხვნა-თესვისა და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტში და შემდეგ სახელმწიფო ქონებათა მინისტრისათვის მოუხსენებია. ამ ქამად სამინისტრო ატყობინებს ქალაქის თავს, რომ იმ ოთხის ქცევის მიწის დათმობა შესაძლო არ არისო, რადგანაც ორი მათგანი გლეხების საკომლო მამულიაო, ერთიც ეკკლესიის სახელობაზე არის გამიჯნული და ერთიც ეკლარის ქვა-სატეხიტერისთვის არის საჭიროვო; ეკლარის ქვა-ნატეხს იმიტომ ვერ დაგითმობთო, რომ უიმისოდ ქალაქს არა უჭირს-რა, რადგანაც საკუთარი ქვა-ტეხილი აქვსო.

რაც შეეხება იმ რამდენისამე ნაჭერის მიწის დათმობას, რომელიც ქალაქის წრეში მდებარეობს, იუწყებიან, რომ სამინისტრო მაშინ განიხილავს ამ საგანს, როცა იმაზე ექნება სჯა, დაეთმოს თუ არა ეს ნაჭრები მიწისა არენდატორებს, რომლებსაც ისინი ქირით აქვთ აღებული და ზედ შენობები გაუმართავთო. დასასრულ სამინისტრო იუწყება, რომ ფერმაში პირველ-დასაწყისი სამეურნეო სკოლა უნდა გაიმართოსო. როგორც ჰხედავთ, ამ სამს სათხოვარში სამინისტროს მხოლოდ ერთზე შემოუთვლია გადაჭრით უარი; დანარჩენი ორი სათხოვარი, შეწყნარებით თუმცა არ შეუწყნარებია, საბოლოვოდ მაინც არ გადაუწყვეტიათ საქმე

ფელეტონი

ათაბაგნი ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი*)

დიდებულს აზნაური მოსდევს და ზნაურობა სხვა-და-სხვა ღირსებისაა. ზოგადოდ აზნაურნი, „ჩინებისა მაისამებრ“ სამად განიყოფებიან და ლბულა უჩვენებს, თითოეული რიგი ით განირჩეოდა, რა უპირატესობა ნდა და რა „ხელისა იყო“. მაგ ერთსა და იმასვე რიგს ისეთნიც უთვნიან, რომელნიც ერთმანეთიგან განსხვავდებიან. ამას გამო საბაგოს აზნაურობა უფრო მრავალოვანია, ვიდრე ქართლისა.

პირველს რიგს ეკუთვნოდნენ სატრონი (სულ ერთია, ათაბაგი იყო ტრონი, თუ დიდებული) და ტაძრელი (ტახტის აზნაური). საპატრონო ზნაური „კარგი უნდა იყოს“, „საპაოდ პატრონს ჰყვეს“. მხოლოდ მან ითვლება პირველის ღირსების აურად და დიდებულის ნახევარი სხლი სდის. პირველის ღირსებისაის არც ცალიერი ტაძრეულობა ჰკმაროდა: ტაძრეული „ციხოსან-მონასტროსანი და მამულ-დიდი უნდა იყოსო“ (მუხ. გ). მაშასადამე, დიდის აზნაურისათვის საჭირო იყო კარგი გვარი („კარგი უნდა იყოს“), საპატიო ხელი („საპატიოდ პატრონს ჰყვეს“) და დიდი მამული («მამულ-დიდი უნდა იყოს»). ვისაც ამ სამს ღირსებაში ერთი რომელიმე აკლდა, მაშინ იმას პირველი აზნაური არ ეწოდებოდა. მაგრამ სამართალი მაინც «საპატიო ხელს» აქცევს უმთავრესს ყურადღებას. ძველად საპატიო სამსახურისაგან წარმოსდგა აზნაურობა და შემდეგშიც ის დარჩა ამ წოდების ცხოველ მყოფელ ძალად [91])

რაკი აზნაურობის დასაბამი და არსება «საპატიო ხელზედ» დამყარდა, ამიტომაც სამართალი ეძიებს — ვის ეკუთვნის აზნაური და რა „ხელისაა“, ე. ი. რომელთან რა გვარ სამსახურს ეწევა. მეფე და „პატრონი“ ათაბაგი პირველნი იყვნენ და, რასაკვირველია, იმათთან სამსახურიც უფრო საპატიო იქმნებოდა. აქ არის მიზეზი, რომ „საპატიოდ პატრონის მყოფი“ და „ტაძრეული“ პირველის ღირსების აზნაურს ეკუთვნოდნენ და დიდებულის ნახევარი სისხლი სდიოდათ (მუხ. გ.) თვით ეგრედ წოდებული ციხოსან-მონასტროსობა („თუ აზნაური ციხოსან მონასტროსანი იყოს“) სხვას არაფერს ჰნიშნავდა, გარდა „საპატიო ხელისა“,—„ციხისა საქმე საპატიო არისო“ (მუხ. ლდ.), ამბობს სამართალი. ალბულა პირდაპირ არ იხსენიებს, „მონასტრის საქმე საპატიო არისო“, მაგრამ მონასტროსობის ასეთი პატივი ეჭვს გარეშეა. იმ დროს სულის საქმეს ძლიერ მისდევდნენ და ძვირად აფასებდნენ. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მონასტერი მარტო სულის სავანეს არ შეადგენდა. იქ ხშირად მახვილიც ილესებოდა ურჯულო მტრის მოსაგერებლად და მონასტერი იგივე ციხე იყო...

საპატიო ხელთან საჭირო იყო დიდი მამულიც. როცა კაცს ერთი ჰქონდა, მეორეც უნდა ჰქონოდა. მხოლოდ მაშინ სთვლიდნენ დიდ და პირველ აზნაურად. მაგრამ შეიძლებოდა პატრონს აზნაური «ჩამოემცრო“, „ვაწყრომოდა მამასა თუ შვილსა საქმესა რამესა ზედა“ და, საპატიო ხელი ჩამოერთმია. რასაკვირველია, ისეც მოხდებოდა, რომ აზნაურს „ქამისაგან მამული დამცირებოდეს, უციხო უმონასტრო იყოს“ (მუხ. დ.) მაშინ აზნაურს ქვეით უნდა დაეწია და პირველ ადგილის მაგიერად მეორეს დასჯერებოდა. სწორედ ასეთი ჩამომცრობილი და მამულ დამცირებული ეკუთვნოდა „შუა“ აზნაურს. ასეთის აზნაურის სისხლი თორმეტი ათასი თეთრი ჰღირდა, ე. ი. პირველის აზნაურის სისხლის ნახევარზე ცოტა მეტი. „ჩამომცრობა“ ამტკიცებს, რომ აზნაურს პირადი დამოკიდებულება ჰქონდა თავის ბატონთან. ხოლო „მამულის მოკლება“ იმის საბუთია, რო აზნაურობა ეკონომიურს ნიადაგზედაც დაფუძნდა. საზოგადოებრივი შრომა და ქონებრივი შეძლება თითქო ხელის ხელ იყვნენ გადაბმული და აზნაურს მაშინ ედო დიდი ფასი, როცა თვალ-საჩინო სამსახურს უწევდა თავის ბატონსა და ნივთიერი სიმდიდრე კიდევ ღონეს აძლევდა, სამსახური არ მოეკლო. მაგრამ უფრო სამსახურს ჰქონდა პირველი მნიშვნელობა და, როგორც ალბულას სამართლიდგანა სჩანს, მსახურისაგან წარმოსდგა აზნაური და მსახური აზნაური შეიქმნა დიდისა და შუა აზნაურის დამაარსებელი და გამჩენელი. რა სამსახური ედვა აზნაურს? აზნაურის მოვალეობას „საომარი საქმე“ შეადგენდა. იარაღი და ბრძოლა—აი უფრო რას სთხოვდა ბატონი თავის აზნაურს. ციხე, აბჯარი და კარავი აზნაურს აკუთვნებს და თუმცა მოხსენებულია „კარვოსნობა ყოველთა წესია აზნაურულიო» (მუხ. ი.), მაგრამ ყოველგვარს სალაშქრო საქმეზედაც ესევე ითქმის. სალაშქრო სამსახურმა ფერი დასდო აზნაურის ღირსებასაცა და თუ აზნაურნი თანასწორნი არ იყვნენ, ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ თვით „საომარი საქმე“ განსხვავდებოდა. დიაღ, სალაშქრო სამსახურს გარედ აზნაურს მარტო ცალიერი სახელი-ღა რჩებოდა. ასეთი აზნაური გლეხს უდრიდა, თუმცა ისეთს გლეხს კი, რომელსაც „პატრონი სიკეთესა ზედა იცნობდა“. ალბულა გადაჭრით ამბობს, თუ აზნაური კარვოსანია და ძმა, შვილი და ნათესავი „ვედარა მისის წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა“, მისი სისხლი ათასივე თეთრი იყოსო“,—ამოდენი სისხლი ჰქონდა საპატიო გლეხსაც (მუხ. ია, იბ.). აქ მეტი არ იქმნება შევნიშნოთ, რომ შუა აზნაურად ითვლებოდა დიდებულის „ბიჭი“, უკანონო შვილი, რომელსაც მამისა-

---

*) იხ. „ივერია“ № 206.

[91]) აზნაურს Русская Правда-ც იხსენიებს, Калачовъ, стр. 126. მონგოლების ზასანგები უდრიან ჩვენს აზნაურებს. ზასანგები მეორე წოდებას შეადგენდნენ და ღირსებით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. იმათ ვალად ედვათ სამსახური, „тянули тягло личное, служебное,“ Леонтовичъ, стр. 157, 161, როგორც სათაბაგოს აზნაურებსაც.

⁂ ზესტაფონი: ჩვენს დაბას ახლო დაარსდა საწყობი გოგირდის ნახშირ-მჟავისა (сѣрнистый углеродъ), რომელიც იხმარება ფილოქსერის მოსასპობად აქაურს ვენახებში. ამ ჟამად აქ მყოფი საფილოქსერო დასი სწამლობს ვენახებს ფილოქსერისაგან სვირსა და ილეთში. როცა ეს დასი მოიცლის ამ საქმისაგან, მაშინ ვენახების წამლობას შეუდგება ფილოქსერის გავრცელების წინააღმდეგ აღმოსავლეთ სამზღვრებზე, რათა შეიმაგრონ ფილოქსერა და ქართლისკენ არ გადაუშვან. ზემოხსენებულ საწყობთანვე დაარსდა ამ დღეებში სამეურნეო სადგური, სადაც გააშენებენ ვენახს ამერიკის ვაზისაგან, რომელიც ფილოქსერას არ იკარებს.

⁂ გაზ. „Нов. Обоз.“-ეს შეუტყვია, რომ საქართველოს ეპარქიის სამოსწავლო საბჭო აპირობს, სამ ალაგას დაარსოს სამრევლო სკოლა ტფილისის გუბერნიაში: ერთი სოფ. აწყურში, რომელიც თელავს ახლოა, ერთი სამთავისში ლეხურის ხეობაზე, კასპს ახლო და მესამეც ბოგვში, რომელიც ტფილისის მაზრაშია. თითოეულ სკოლის შესანახად გადადებული იქნება სამოც-სამოცი თუმანი.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ სამშაბათს საღამოს წავიდნენ დალლარის სადგურისაკენ და მერე იქიდგან კედაბეკისაკენ რამდენიმე პეტერბურგელი ფულიანი კაცებიო და იქ უნდათ დაათვალიერონ სპილენძის მადნები და სპილენძის სადნობი ქარხნებიო, რადგან განზრახვა აქვთ, თუ საჭიროდ დაინახეს, გააძლიერონ ამ ქარხნების წარმოებაო.

⁂ მოგვყავს ზემოხსენებულის გაზეთიდამვე ზოგიერთი ცნობანი ტფილისის სახელოსნო სკოლის შესახებ. დღეს შესრულდა სწორედ ათი წელიწადი, რაც ეს სკოლა არსებობს. სკოლას ინახავს თავის ხარჯით ქალაქი, რომელსაც ამ სკოლისავე სასარგებლოდ ბევრმა ქველმოქმედმა შესწირა ფული. სულ 4 კლასია. თითო კლასში სამ-სამი განყოფილებაა: რუსთა, ქართველთა და სომეხთათვის. სწავლება ყველა საგნებისა დედა-ენაზე სწარმოებს, რუსთათვის რუსულად, ქართველთათვის ქართულად და სომეხთათვის—სომხურად. მხოლოდ რუსეთის ისტორიას, გეოგრაფიას რუსეთისას და ტეხნოლოგიას ასწავლიან რუსულად. მოსწავლეთა რიცხვი 250-მდეა. შარშან წლის დამდეგს იყო 205, წლის გასულს 194 შეგირდი. ამათში სომეხნი 74, რუსნი 49 და ქართველნი 57. ხელობას სწავლობდნენ: დურგლობას 66 კაცი, ჩილინგრობას 81, ლითონის დნობას 25, ხარატობას 7 და მჭედლობას—15. მას აქეთ, რაც სკოლა არსებობს, სულ 98 კაცს გაუთავებია ამ სკოლაში კურსი.

⁂ 22 ამ თვისას, პოლიციის მეოთხე ნაწილში, ორლოვის ქუჩაზე, გოხშელიძის სახლში, ქვრივის ხითაროვის სადგურის ფანჯრები გაუტეხიათ ალექსანდრე კელაპტაროვისა და ალექსანდრე კანდინოვს და მოუპარავთ ფულად 6 მან. 50 კ. და 10 მან. 50 კ. ნივთეულობა. ქურდი შეიპყრეს.

◆◆

მალორუსიული წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, მალორუსიულმა დასმა წარმოადგინა მეტად სასაცილო პიესა, ხუთ მოქმედებიანი კომედია ბ-ნ კვიტკა—ასნოვიანენკოსი: შელმენკო-დენშჩიკი. ეს გვარი ქართულად რომ გადმოთარგმნოს, გამოვა გაიძვერა, გაქნილი მოსამსახურე. მართლაც მთელი პიესა ამ გაიძვერა მოსამსახურის ცუღლუტობაზეა აშენებული და მაყურებელს უნებლიედ მოაგონებს საფრანგეთის გამოჩენილ დრამატურგის მოლიერის უკვდავს პიესას: სკაპენის ცუღლუტობას, თუმცა-კი შელმენკოს გაიძვერაობას, ცუღლუტობასა და ეშმაკობას ძალზე ეროვნული, ხალხური ფერი და ხასიათი აქვს. ნიჭიერმა არტისტმა კრაპივნიცკიმ ისე ცოცხლად შეასრულა შელმენკოს როლი, რომ ყოველს მის სიტყვაზე, მის ოსტატობაზე საზოგადოება სიცილით კუჭ-კუჭებდა და მეტის-მეტის სიამოვნებისაგან თავ-დაუჭერელად ხარხარებდა.

შინაარსი პიესისა ეგრე სახარბიელოს არას წარმოადგენს. აზნაურიშვილობით გაბერილს მებატონეს კირილო პეტრეს ძეს შპაკს (ბ-ნი პიტაევი-პრონსკი) სტუმრად ეწვევა მეზობელი ოსიპ პროკოფის ძე ოპეცკოვსკი, რომელიც თან მოიყვანს თავის ძმის წულს. (ბ-ნი ლევიცკი), სასაცილონი არიან ეს სამთავე გმირები. შპაკი სულ ევროპიულს პოლიტიკაზე მუსაიფობს და, რადგანაც ჟურნალ-გაზეთობას ერთის წლის შემდეგ კითხულობს, რასაკვირველია, იმისი მუსაიფი მეტად სასაცილო გამოდის. ნაკლებ სასაცილონი არ არიან იმისი სტუმრები. ერთი ჩასციებია როგორც ევროპიის რესტავრაციას და მეორე საცოდავი სხვა ლაპარაკს ვერას ახერხებს იმის მეტს, რომ ჩერნიგოვიდგან—ვორონეჟამდე ვიმოგზაურეო. შპაკის სოფელში არის კაპიტანი სკვორცოვი (ბ-ნი სევეროვი), რომელსაც შეუყვარდა შპაკის ქალი პრისინკა (ქ. ზარნიცკაია), მაგრამ ხათა ისაა, რომ თავის ქალის საქმროდ მამამ დაიწუნა. მე, შპაკი ვილაც სკვორეცს ქალს არ მიეცემიო. აი სწორედ ამ დროს კაპიტანი მუხლმოდრეკით ეხვეწება თავის დენშჩიკს, მიშველე რამეო. შელმენკოც იმდენს ეცდება, რომ კაპიტანს ჯვარს გადასწერს საყვარელს ქალზე და ისეც ახერხებს საქმეს, რომ მამა დალოცავს თავის ქალს. ბოლოს შელმენკოს ხრიკები გამოაშკარავდება, მაგრამ რაღას იზამენ. შელმენკო იმით ანუგეშებს შპაკს, რომ კაპიტანი სკვორეცი მისივე გვარისააო, ამისთვის რომ სკვორეცი, შკვარეცი და შპაკი რას გაუყვიაო. მშვენიერად შეასრულეს თავიანთი როლები აგრეთვე ზატირკევიჩის ქალმა და ლევიცკიმ.

უფრო მეტი ხარხარი და სიცილი გამოიწვია საზოგადოებაში ერთ მოქმედებიანმა ვოდევილმა: Якъ ковбаса та горка, то мынется и сворко (საცა-კი ძეხვი და არაყია, იქ დავიდარაბას მალე ბოლო ელება.) შპონკას (ბ-ნი კროპივნიცკი) ჩხუბი მოუვა ნადირობის დროს თავის მეზობელს შილოსთან (ბ-ნი ნაუმენკო). როგორ თუ მე, ტახტის აზნაურიშვილს, ვილაც გლეხმა, ღორი დამიძახოო. გაწიწმატებული შპონკა ნადირობიდგან ერთს დუქანში შევა, საცა ლამაზ მედუქნე—ქალს გორპინას (ქ. ზარნიცკაია) ეალერსება და თანაც თავის მწუხარებას გადასცემს. ამასთანავე ეხვეწება გორპინას, რომ არაყი მიშოვნე, სიცივემ ლამის სული ამომართვასო, მაგრამ სამწუხაროდ ბოთლებში არაყი აღარ არის, რაც იყო სულ დაულევიათ მგზავრებს. გორპინა დაჰპირდება გიშოვნიო და გარედ გავა, ამ დროს შილოც შემოვა. მტრები აბუზებიან, ერთი-ერთმანეთს არ უცქერიან. შილო ამოიღებს ჯიბიდან ერთ ბოთლ არაყს და ნელ-ნელა შეექცევა. შპონკას არაყის ნდომით ლამის გული წაუვიდეს, მაგრამ როგორ იკადრებს რომ თავის მტერს არაყი სთხოვოს. მცირედის არეულობის გამო შილო გარედ გავარდება. მაშინ შპონკამ თავი ეღარ შეიმაგრა და სუფრაზე დარჩენილს ჰიქას სტაცა ხელი და გადაცეცხლა მერე ამოიღო ძეხვი და დაუწყო ძმუძნა. შილომ ძეხვი რომ დაინახა, ეღარ მოითმინა და მიუახლოვდა შპონკას ვედრებით: შევრიგდეთო, შერიგდენ. რაკი ერთი ორი გადაჰკრეს შპონკა ტირილსაც მოჰყვა, ღორი-კი არა, ძაღლიცა ვარ, რომ წაგეჩხუბეო.

აი ეს უბრალო შინაარსიანი ვოდევილი ისე ნიჭიერად ითამაშა დასმა, რომ დაჰხოცა ხალხი სიცილითა. ზარნიცკის ქალმაც ყურადღება დაიმსახურა რიგიანის თამაშითა და მღერით. თეატრი სავსე არ იყო.

ა. ფ—ლი

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

I

კვირას, 16-ს სექტემბერს, საჩხერეში ერთს მშვენიერს ეზოში კნეინა ნინა წერეთლის (ბაგრატიონის ასულის) და თავადის ბეჟან დავითის ძის წერეთლის მოთავეობით გამართულ იქმნა „ლოტარია-ალეგრი“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

ცუდმა ამინდებმა დიდად შეუშალა ხელი ამ საქმეს. მთელი კვირა 16-ს სექტემბრამდე წვიმიანი დღეები იყო; თექვსმეტსაც-კი დილის თერთმეტ საათამდი წვიმას არ გადუღია. ის იყო აპირობდნენ ალეგრის მეორედ გადადებას (ერთხელ წინად მოუშალეს და გადადეს ამ დღისათვის), მაგრამ 11 საათზე წვიმამ გადიღო და ალეგრიც დაიწყო.

თუმცა სხვა სოფლებიდგან ხალხი ცოტას მეტი ვერ მოვიდა, მაგრამ სამის საათის განმავლობაში ერთი ბილეთიც აღარ დარჩენილა გაუყიდველი.

მოთავემ კნეინა ნინა წერეთელმა, რომელიც თითქმის ერთი წელიწადია, რაც ამ ალეგრის გამართვას ცდილობდა, დიდი შრომა მიიღო ამ საქმისათვის და არავითარი საშუალება არ დაუზოგავს, რომ შემოსავალი გადიდებინა. ალეგრის ბილეთებს გარდაც მოაგროვა მან ფული სხვა-და-სხვათაგან, თითო-ოროლა მანეთობით შემოწირული.

სულ მთელ შემოსავლიდგან ხარჯს გარდა დარჩა ნაღდი 520 მანეთი და 34 კაპ., რომელიც ამ დღეებშივე გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

დიდის მადლობის ღირსნი არიან აქაურნი მკვიდრნიც, განსაკუთრებით თავად-აზნაურნი, რომელთაც დიდი თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩინეს მოთავეთა თუ ნივთების შეწირვით და თუ ფულით.

ალეგრის დროს თავადი წერეთლები, ქალი და კაცი ყველანი თვითეულად მონაწილეობას იღებდნენ და ხელს უწყობდნენ ყოველის მხრით ამ კეთილს საქმეს.

საჩხერის სოფლის მასწავლებელი
ყარამან ჩხეიძე

18 სექტემბერს

II

ჩვენ მოგვივიდა შემოქმედის სკოლასთან დაარსებულის წიგნთ-საცავის შესაწევნელად: 1) ქუთაისიდან ბნ. ილია მირიანის ძის ჭყონიასაგან ხუთი წიგნი: ორი რუსული და სამი ქართული. 2) ბათომიდგან დიმიტრი ოქროპირის ძის სადრაძისაგან თექვსმეტი წიგნი რუსული და ქართული. 3) ტფილისის მიწის მზომელთა სკოლის შეგირდები-

---

გან მამული ჰქონდა ნაბოძები. „ბიჭის“ სისხლიც თორმეტ ათას თეთრად ფასობდა. 92)

მესამე ღირსებისა იყვნენ მსახურნი აზნაურნი. თუმცა მსახურ-აზნაურსაც მიუცილებლივ სალაშქრო საქმე ებარა და „ქოთლოსან-აბჯროსან—კარვოსნობას“ ასრულებდა, მაგრამ სხვა რამე „საჩინო ხელიც“ ჰქონდა. მხოლოდ მაშინ იყო მსახური-აზნაური შუა აზნაურის თანასწორი და ჩვენის აზრით სახელიც „მსახური“ უფრო ამიტომ დაერქვა. ბატონს ლაშქრობას გარდა, ბევრი სხვა საქმე მოეპოვებოდა,— საბატონოს ხომ მოვლა და მმართვა უნდოდა და მარტო ბატონი ყველა ამას ვერ გაუძლევებოდა. ამის გამო ბატონი თავის აზნაურს „საჩინო ხელს“ აძლევდა და მაშინ მსახურს-აზნაურს პატივიც ემატებოდა. როცა მსახურ-აზნაურს ცხის-აბჯრის-კარვის მეტი სხვა არაფერი ეკითხოდა, მაშინ ღირსებაც აკლდა და იმისი სისხლი მხოლოდ ექვსი ათასი თეთრი ჰღირდა— შუა აზნაურის სისხლის ნახევარი.

მაღალსა და დაბალს წოდებას შორის ხიდი რომ არ ჩატეხილიყო, მსახური გააჩინეს. მსახური, ერთის მხრით აზნაურზე მცირეა, მეორის—გლეხს აღემატება. იგი იმათ შუა სდგას და თუ აზნაური არ ეთქმის, არც გლეხობა შეეფერება 93). მაშ მსახური ვინ იყო? როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, მსახური მოსამსახურე იყო, მაგრამ ისეთი-კი, რომელსაც „არა საჩინო ხელი“ ებარა. საბატონოს და კერძოდ თვით ბატონს უმოსამსახურეოდ ყოფნა არ შეეძლო და ან რა ბატონია ის, ვისაც სხვანი არ ემსახურებიან. მაგრამ სამსახური სხვა-და სხვა გვარისაა და მსახურს მხოლოდ უბრალო სამსახური ებარა და ამით განსხვავდება მსახურ-აზნაურისაგან, რომელიც „საჩინოდ ხელობდა“, საპატიო საქმეს ასრულებდა. კიდეც ამიტომ მსახური ზედ მოსდევს მსახურს-აზნაურს და, თითქო იმის საფუძველიაო, ქვეით უდგია. მართლაც და, მსახურისაგან წარმოსდგა მსახური-აზნაური და ეს მით უფრო, რომ საზოგადოდ სამსახური ანიჭებდა კაცს ყოველს ღირსებასა და იგი სამსახური იყო წოდებათა შემქმნელი ძალა. მსახურნიც ცალკე წოდებას შეადგენდნენ და საკუთარი ხელის უფალი ჰყავდათ. ვახუშტი ასეთს ხელის-უფალს მსახურთ-უხუცესს უწოდებს 94) და მესამე ხარისხის ხელის-უფლად სთვლის. თუმცა ეს კარგად იცის „ბატონ-ყმობის“ ავტორმა, მაგრამ მაინც მსახურნი საკუთარ წოდებად არ მიაჩნია და გლეხობასთან აერთებს. არ ვიცით რად. თუ იმიტომ, რომ მსახურს გლეხებისგან ირჩევდნენ, ვერაფერი საბუთია: საქართველოში წოდება კასტას არ ნიშნავდა და გუშინდელი გლეხი შეიძლებოდა ხვალ და ზეგ აზნაური შექმნილიყო. ასე იყო ევროპაშიც 95) და ჩვენი ფეოდალური წყობილება ხომ ბევრად მიაგავს ევროპიულსა. საყურადღებოა, რომ სადაც-კი ცხოვრება წოდებრივს კალაპოტზე მოწყობილა, იქ მსახურებს განსაკუთრებული ადგილი სჭერიათ. ამას ვხედავთ, მაგალითებრ, რუსეთსა და მონღოლიაში 96). საათაბაგოს მსახურნიც საკუთარს წოდებას შეადგენდნენ და იგი წოდება გლეხობაზედ მაღლა იდგა. ამას ალბუღას სამართალი ამტკიცებს: მსახურის სისხლი ათასი თეთრი ღირს, უბრალო გლეხისა-კი დაშორებით ამაზედ ნაკლები (მუხ. Ც, იბ.) სოციალურს შენობაში მსახურებს ცალკე ეჭირათ ადგილი. ვახტანგმაც საკუთარი ადგილი დაუნიშნა და დაადგინა, მსახურის სისხლი ერთი-ორად მეტია გლეხისაზედაო (მუხ. ლბ. ლგ.)

ვაჭარნიც საკუთარს წოდებას შეადგენდნენ და თავიანთი სისხლი სდიოდათ. ღირს შესანიშნავია, რომ ვაჭრობაც „ხელზედ“ არის დაფუძნებული და ამისდაგვარად ორად განიყოფება: დიდი-ვაჭარია, რომელიც „პატრონთა კარგად და საპატიოდ ჰყვეს და საქმის მქნელად“. ხოლო მცირე იგია, ვინც მხოლოდ „პატრონის ნახვისა და ძღვნისა მიღებას ღირს იყოს“. პირველს სისხლში დანიშნული აქვს თორმეტი ათასი თეთრი, მეორეს ექვსი ათასი (მუხ. ქზ.). მაშასადამე, დიდი ვაჭარი უდრის „საპატიოდ მყოფს“ აზნაურსა, მცირე-კი ისეთს, რომელსაც „საჩინო ხელი“ არ აქვნდა. ცხადია, რომ ვაჭრების განსხვავებაც სამსახურისაგან წარმოსდგა და არა ნივთიერის შეძლებისაგან, თუმცა სხვაფრივ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ვაჭრობის დედა-ძარღვი ქონება და სიმდიდრე შეადგენს. მაგრამ რა-კი საათაბაგოში წოდებრივი ღირსების მოსაპოვებლად „საპატიო ხელი“ აღიარეს, ვერც ვაჭრობა ასცდა საზოგადო მისწრაფებასა და მიმართულებას. რა „საპატიო ხელს“ ასრულებდა ვაჭარი? სამართალი მხოლოდ ბჭობას იხსენიებს— „კარგი, დიდი ვაჭარი ჰკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვისო“ (მუხ. რა.) რასაკვირველია, „ჰკვიანს“ ბჭობას გარდა, სხვა „საპატიო ხელიც“ შეეძლო, თუმცა-კი არა სჩანს რომელი. ალბუღა დიდს ყურადღებას აქცევს მრეწველობას და ალებ-მიცემობას. სასტიკად სჯიდა სამართალი, ვინც ვაჭარს გაძარცვავდა, მოჰკლავდა და დასჭრიდა: ბრალდებულს „ორკეცად“ უნდა დაეურვა წანართმევი და სისხლი კიდევ სხვა იყო (მუხ. ქე.).

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

---

92) ოსეთში უზდენების უკანონო შვილები, ყავდასარდნი ცალკე წოდებას შეადგენენ და ყმებად ითვლებიან. ყავდასარდის სხვა წოდებაში გადასვლა აკრძალული აქვს, М. Ковалевскій, Совр. об. и Др. зак. I. стр. 41—42. არა სჩანს, ალბუღას „ბიჭნი“ ცალკე წოდებას შეადგენენ, თუ არა.

93) ბ-ნი ა. ხახანაშვილი მსახურს გლეხად სთვლის: „გლეხებში განირჩეოდნენ მსახური, ნასყიდი, ნაბოძები, ვალ-გადუხდელი, თავის ნებით შესული და რთული ტპაი-ყმა“, ბატონყმობა საქართველოში, გვ. 14. ავტორს ვერ შეუმჩნევია, რომ თითონვე არღვევს თავის აზრს, როცა 15 გვერდზე ხსნის მსახურის ვითარებასა და თვისებას.

94) საქართველოს ისტორია, გვ. 4. 7. საყურადღებოა, რომ მსახურთ-უხუცესს სალაშქრო საქმე ეკითხებოდა. ალბუღას სამართლიდამ სჩანს, მსახურობა საომარ საქმისაგან წარმოსდგა, შეადარე მუხ. ი და იბ.

95) Гизо, стр. 45.

96) Русская Правда-ს სხვა-და-სხვა გვარი „княжъ мужъ;“ Колачовъ, стр. 125. „ხელს“ აქაც უპირატესობა ჰქონდა და „კნიაჟ მუჟის“ სისხლი მეტი ღირდა, стр. 180—182. მონღოლების „средніе люди“ ჩვენს მსახურებს უდრიან, Леонтовичъ, стр. 161, 162. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მონღოლების წყობილება მთლად საგვარეულო დამოკიდებულებაზედ აშენდა, adscriptio genti. იმათმა გავლენამ დაჰბადა რუსეთში „укрѣпленіе классовъ служилыхъ и тяглыхъ“, idib стр. 253—257 ჩვენში წოდებათა ასეთს „укрѣпленіе“-ს ვერა ვპოულობთ.

საგან ორი წიგნი, მიხეილ ჭყონიასაგან ოთხი ქართული წიგნი. 4) იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისაგან ოც-და ათი წიგნი, ხუთი რუსული მასწავლებლისათვის ძლიერ საჭირონი და 25 სხვა-და-სხვა ქართული წიგნები. 5) თედორე გოკკაძისაგან 25 რუსული წიგნაკი და 6) ალფეს მიქელაიშვილისაგან ერთი ქართული წიგნი. ყველა ამ შემომწირველთ უგულითადესს მადლობას ვუძღვნით ასეთის დახმარებისათვის, ვიმედოვნებთ, რომ სხვებიც მიჰბაძავენ შემოხსენებულთა მაგალითსა და მით შემწეობას აღმოუჩენენ ამ სასარგებლო საქმეს.

გამგე წიგნთ-საცავისა მთავარ-დიაკონი
ანტონ ცეცხლაძე

24 სექტემბერს

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ვანათი. (პატარა ლიახვის ხეობა), 16 სექტემბერს. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ სოფელ ვანათში ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა არის გამართული კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა. რადგანაც ამ სკოლის სადგურს ჰქონდა ზოგიერთი პედაგოგიური და გიგიენური ნაკლულევანება, ამისათვის წარსულის წლის იენისის პირველს რიცხვებში სამრევლო სკოლების ინსპექტორმა მ. ლეონიდმა (რომელიც მაშინ აქ სკოლის დასათვალიერებლად ბრძანდებოდა) ურჩია ვანათელებს, ორტეველებსა და დმენელებს, (რომლების შვილებიც ამ სკოლაში იზრდებიან) აეშენებინათ, ისეთი სკოლის სადგური, რომელსაც არავითარიმე პედაგოგიური და გიგიენური ნაკლულევანება არა ჰქონდა. იმათ მოეწონათ მ. ლეონიდის აზრი, იკისრეს თავიანთი ხარჯით ამნაირის სკოლის სადგურის აგება და, მართლაც, ამ ერთის წლის განმავლობაში ააშენეს ვანათშივე, ძველის სკოლის ახლო, ახალი, დიდი და ყოვლის მხრივ მშვენიერი სკოლის სადგური, რომელშიაც დაეტევა ასი მოსწავლე.

ამ თთვის 10-ს აი ამ ახალის სკოლის სადგურის კურთხევა იყო. სკოლის დარბაზი ამ დროს შიგნიდგან დამშვენებული იყო ფოთლების გვირგვინებით მორთულის სურათებით; გარედგან სკოლის აივანსაც ამშვენებდნენ სხვა-და-სხვა ნაირი ფოთლების გვირგვინები. სკოლის კურთხევაზედ დაესწრნენ: სამრევლო სკოლების ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი მ. ლეონიდი, ცხინვალის პოლიციის ბოქაული ბ-ნი დ. ვახვახოვი, ცხინვალში მცხოვრებელი ბოქაულად ნამყოფი ბ ნი ქურული, ორტევის ბლაღოჩ ნი მღვდელი მ. კაპანაძე, ამ სკოლის საღმრთო რჯულის მასწავლებელი მღვდელი კ. დავითიშვილი და ადგილობრივნი მცხოვრებნი.

კურთხევის წესის შესრულების შემდეგ მჭევრ-მეტყველმა ინსპექტორმა მ. ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომელმაც ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ამ სიტყვაში მ. ლეონიდმა ის აზრი გამოხატა, რომ ახლანდელს დროს მდაბიო ხალხში ღვთის მოყვარეობა ძალიან დაცემულია, ასე რომ ბევრმა გლეხმა რიგიანად არც-კი იცის პირჯვრის წერა; უწინდელს დროში-კი სულ სხვა იყოდა: მაშინ ჩვენი მამა-პაპანი, მიუხედავად იმისა, რომ აქეთ-იქიდგან მათ მრავალნი მტერნი აწუხებდნენ, მაინც ძალიან ღვთის მოყვარენი იყვნენ; იმ დროს იშვიათად ნახავდით გლეხის სახლს, სადაც სახარება, დავითნი ან სამოციქულო არა ყოფილიყოს. დედა რომ გაათხოვებდა თავის ქალიშვილს, მზითევში ან სახარებას ან დავითნსა და ან სამოციქულოს გაატანდა. აი ამისათვის, განაგრძო მ. ლეონიდმა: მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება გამოცემა იმისთანა ბრძანებისა, რომელიც ყოველს მღვდელს მოვალედ ხდის, თავის მრევლში საეკკლესიო სამრევლო სკოლა გახსნას; ამისთანა სკოლიდგან შეგირდები ღვთის მოყვარენი და ნამდვილნი ქრისტიანენი გამოვლენო მშობლებისა და მამულის სასარგებლოდაო.

ბედნიერნი ხართო, მიჰმართა ბოლოს მ. ლეონიდმა გლეხებს: რომ ამისთანა სკოლა გაქვთო; აბა ახლა თქვენ იცით, თუ როგორ მუყაითად ატარებთ თქვენს შვილებს ამ სკოლაშიო, თუ გინდათ, რომ ღვთის მოყვარენი და თქვენთვისაც სასარგებლონი გამოვიდნენო.

სიტყვა რომ გაათავა, მ. ლეონიდმა გლეხებს დაურიგა ხატები და სკოლის შეგირდებს პატარა ჯვრები და ესრედ წოდებული წიგნაკები „ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის ფილარეტისა“.

ამას შემდეგ ცხინვალის პოლიციის ბოქაულმა ბ-მა დ. ვახვახოვმა და ბოქაულად ნამყოფმა დ. ქურულმა აუხსნეს გლეხებს სწავლა-განათლების მნიშვნელობა, ისურვესა სკოლისათვის წარმატება და ურჩიეს მათ მუყაითად ეტარებიან ამ სკოლაში თავიანთი შვილები.

ზემო—ხსენებულნი წარჩინებულნი პირნი სადილად მიიწვია თავის სახლში ადგილობრივმა მღვდელმა კ. დავითიშვილმა. სადილი სადღეგრძელოებით დაიწყო. სულ პირველად სტუმრებმა მიირთვეს სადღეგრძელო მათი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრეს ალექსანდრეს ძისა, შემდეგ მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პალლადისა, ყოვლად უსამღვდელოესის ეპისკოპოზის ალექსანდრესი და სხვებისა. თითოეული სადღეგრძელო „მრავალ-ჟამიერის“ გალობით თავდებოდა. ამ დროს გლეხები გარედ „ურას“ იძახდნენ.

ზ. ოქუაშვილი.

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ინგლისელთა შორის, როგორც ვიცით, ფილანტროპია ძალიან გაძლიერებულია და დიდ-ძალს ღარიბს ხალხსაც ჰკვებავს და აცხოვრებს ეს ფილანტროპია. კვირა და თთვე არ გაივლის ისე, რომ რომელიმე ახალი ღარიბთა თავ-შესაფარი არ დაარსდეს. აი ეხლა კიდევ დაუარსებიათ ლონდონში „მუშა ქალთა კლუბი“. ეს ახლად დაარსებული სამადლო თავ-შესაფარი უნახავს გაზ. „Москов. Вѣд.“-ის კორესპონდენტს:

> ის სახლი, რომელშიაც კლუბია მოთავსებული, ისე მშვენიერად არის მოწყობილი, რომ ქარხნებში მომუშავე ქალებს იშვიათად ენახვებათ ასე სუფთა და სანდო სახლი. პირველს სართულში ორი სამუშაო ოთახია; მეორესა და მესამეში მოთავსებულნი არიან კლუბის უფროსი ქალი და მოსამსახურენი. იქვე დიდრონი ნათელი დარბაზები, წიგნსაცავით, საკერავმაშინით, ორის პიანინოთი და სურათებით მორთულ-მოწყობილი. სულ ზემო სართულში თორმეტი საწოლია გამართული ღარიბებისათვის, სულ ქვემოდ სამზარეულო და სარეცხის ოთახებია. მთელი სუთ-სართულიანი სახლი მოწყობილია ხელ-მოკლე მომუშავე ქალებისათვის, რომლებთაც ერთის აბაზით შეუძლიანთ ერთი თთვე იცხოვრონ აქა, ყოველ საღამოს დასაძინებელი ბინა იქონიონ და კვირა დღეობით-კი დილიდგან საღამომდე იქ გაატარონ. საუზმე ერთი კაპეიკი ჰღირს, სადილი—2 კაპ. ამ კლუბში მცხოვრებნი ოთხ აბაზს იხდიან კვირაში, თუ ამ გარდასახადისაგან განთავისუფლებულნი არ არიან ავადმყოფობისაგან და ან უსაქმობის გამო. კლუბში 300 წევრი შეიძლება იყოს. ბუფეტში ყველაფერი მოიპოვება, მაგარ სასმელებს გარდა. სამუშაო დღეს კლუბი იკეტება თერთმეტის ნახევარზედ, დღესასწაულებში—თერთმეტზედ. თუ აქ მცხოვრებმა ქალმა ორჯელ დაიგვიანა ღამე უმიზეზოდ, გამოირიცხება.

კლუბის კურთხევის დროს 60 უმაწვილი ქალი შეკრებილა თურმე, „დედათა სავაჭრო კავშირის“ წევრნი. საუზმეს შემდეგ თავ-მოყრილთ გასინჯეს ის სახლი, შემდეგ შეიკრიბნენ მეორე სართულის უმთავრესს დარბაზში, აქ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა, განმარტებულ იქმნა საგანი და დანიშნულება კლუბისა. შემდეგ ყველა ქარხნის მუშა ქალნი მიწვეულ იყვნენ სადილად. მერე ერთმა ქალმა პიანინო დაუკრა და ცეკვით დააბოლოვეს მუშა ქალებმა თავისი სადილი..

◆◆

რუსეთი

სახალხო განათლების სამინისტრომ პროფესორებისა და მასწავლებლების მოსამზადებლად 67,750 მანათი გადასდო. ამ ფულიდგან 23,020 მანათით 12 კაცი გაიგზავნება ბერლინის უნივერსიტეტში რომაელთა უფლების შესასწავლად, რომ შემდეგში რუსეთშივე დაბრუნდნენ და უნივერსიტეტებში პროფესორობა გასწიონ.

— რუსულ გაზეთების სიტყვით, ქალაქო დებულებაში ცვლილების შეტანის პროექტს ძლიერ მალე შემუშავებს სამეურნეო დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროსი და მომავალს ნოემბერში კიდეც წარადგენს სახელმწიფო საბჭოში დასამტკიცებლად.

— სამხრეთ - დასავლეთ რუსეთის რკინის გზათა გამგეობამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ცოცხალ საქონლის ზიდვა საზღვარ გარეთ მეტის-მეტად ძნელდება, და სურს ღონისძიება რამ იხმაროს ამ საქმის გასაადვილებლად. სხვათა შორის გამგეობა აპირობს, გამართოს თავის საკუთარი საყასბოები, ჰხოცოს საქონელი და ხორცად გაიტანოს საზღვარ გარეთ. ცოცხალ საქონლის საზიდავად განსაკუთრებული ვაგონები უნდა დაამზადოს. რკინის გზათა გამგეობა უკვე დაიწყო შუამდგომლობა უცხო სახელმწიფოების მთავრობის წინაშე, რომ ნება მიიღოს იმათ სახელმწიფოებში ხორცის შეტანისა. მომეტებული ხორცი უფრო საფრანგეთში გაიგზავნება.

— სახალხო ბანკი ამ მოკლე ხანში შეუდგება იმის ზრუნვას, რომ რაც შეიძლება ნაკლები სარგებელი დააწესოს გლეხების სესხზე და ამით როგორმე გაუადვილოს თავისა და სარგებლის გადახდა.

— ყაზანის სამრეწველო გამოფენაზე ერთი ახლად მოგონილი მანქანა ჩამოუტანია ნ. ნ. მაკაროვსკის უფიდგან. ამ მანქანის შემწეობით შეიძლება კაცმა შეიტყოს, უფხიზლია თუ არა ღამის ყარაულსა, რომელიც დაყენებულია საპატიმროსთან და ან სხვაგან სადმე. ამასთანავე მანქანა საათის მაგიერობასაცა სწევს. მანქანაში საათისავით ტრიალებს ერთი ყუთი 48 უჯრად გაყოფილი. ტრიალის დროს თითო უჯრა ყოველს 15 წუთში მაადგება ხოლმე მანქანის ღია პირსა, საიდგანაც ყარაულმა უნდა კენჭი ჩააგდოს. ყარაულს საათში ცქერა არ დასჭირდება იმის შესატყობლად, აბა როდის მოადგება მეორე უჯრაო: თითონ მანქანა შეატყობინებს დროსა: როდესაც უჯრა მოდის ღია პირთან, მანქანა წკარუნს დაიწყებს ხოლმე და ამით ატყობინებს კენჭის ჩაგდების დროს. თუ ყარაულს ჩასთვლიმა და ვერ მოასწრო დროზე კენჭის ჩაგდება, მეორე დღეს, როდესაც მანქანა გაიღება და უჯრებს დასინჯავენ, ყველაფერს შეიტყობს უფროსი. იმასაც-კი გაიგებს, რა დროსა სძინებია და რამდენი ხანი, რადგანაც თითო უჯრაზე დაწერილია, რომელს საათზედაც უნდა გაიაროს ხოლმე მანქანის პირთან.

— ამას წინად მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, რომ კიევში ბოჭკაში მცხოვრები დიოგენი აღმოაჩინესო. არა ნაკლებად ახირებული ხალხი უპოვნია მკურნალს სოკოლოვსკის იმავე ქალაქის პირად. კიევს იქით იწყება ბუჩქნარიანი პატარა ხევებით დაღარული მინდორი. ამ ბუჩქარში ერთი დიდის ხნის მუხა სდგას და ტოტები განზე აქვს გაშლილი. სეირნობის დროს, როცა სოკოლოვსკი ამ მუხასთან მოსულა, ერთი საშინელი სიცილი და კასკასი გაუგონია, მაგრამ თუმცა, ბევრი უთვალიერებია აქეთ იქით, ვერავინ ვერ უნახავს. ბევრს მიტრიალ-მოტრიალების შემდეგ შეუხედნია მუხის ფუღუროში და დაუნახავს, რომ შიგ მშვენიერი ბუნაგი ჰქონია გამართული რამდენსამე კაცს. ეს ვაჟბატონები უბინაონი ყოფილან, დღისით ქალაქში არიან და ღამ-ღამე კი იქ მიდიან თურმე დასაძინებლად ის სიცილი და კასკასიც სწორედ ამ უდარდელებისა შეესმა ბ. სოკოლოვსკის.

◆◆

წვრილი ამბები

ჩინეთში ქმრიან ქალების ყოფა მეტად საძნელოა და ამიტომაც ძლიერ ერიდებიან გათხოვებას. ახალგაზდა ქალები ზოგჯერ საზოგადოებას შეადგენენ ხოლმე, პირობასა სდებენ და ფიცს აძლევენ ერთმანეთს, რომ სრულიად ნუ გავთხოვდებითო. ქალაქ კანტონის ოლქში ამ ნაირი საზოგადოება ბევრია და სხვა-და-სხვა სახელი ჰქვიან: საზოგადოება „დებისა“, „უბიწოებისა“, „გაუთხოვრებისა“, «მამაკაცების მტერთა» და სხ. ამას წინად ერთი ისეთი შემთხვევა იყო, რომ მთავრობამაც ვერა გააწყო-რა და ქალი ვერა და ვერ დაიყოლია გათხოვებაზე. მშობლებს უნდოდათ უთუოდ გაეთხოვებინათ თავიანთი ქალი, რადგანაც აკვნიდგანვე დანიშნული ჰყავდათ. ახალგაზდა ქალი «დების» საზოგადოების წევრი იყო და ამიტომ დიდს უარზე დადგა, არა და არ გავთხოვდებიო. ამხანაგებმაც მხარი დაუჭირეს და უთხრეს, ოღონდ ჩვენს ფიცს ნუ გასტეხავ და ნუ მისთხოვდები მაგ კაცსაო, და ჩვენც ყველანი შენთან ერთად მოვიკლავთ თავსაო. ქალი უფრო გამხნევდა ამხანაგების წაქეზებით და თავის მოკვლა არჩია გათხოვებას. აიღო ოქროს ბეჭედი, ჩააგდო სასმში და ამით უნდოდა, დამრჩვალიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. საწყალი ქალი ძალისძალადობით წაიყვანეს ქმრის სახლში. ჩინეთში ადათია, რომ ახალი პატარძალი მესამე დღეს მშობლების სანახავად წავიდეს ხოლმე შინა. ამ შემთხვევით ისარგებლა ამ ქალმაც. მშობლების მაგიერ თავის ამხანაგებთან გაიქცა და ამხანაგებმაც მართლა აასრულეს თავიანთი სიტყვა. ყველანი ამ ქალთან ერთად წავიდნენ და წყალში გადაცვივდნენ.

— ამას წინად ინგლისის დედოფალს ერთი შესანიშნავი საჩუქარი მიუღია. სოკოტოს სულთანს გამოუგზავნია ლეკვი ლომი, რომელიც მეტად ლამაზი და მოხდენილია თურმე. ლომი გემ „მანდიღოთი“ მოჰყავდათ აფრიკიდგან და მთელის მგზავრობის დროს ისე წყნარად იყო თურმე, რომ გალიაშიაც არ ჩაუსვამთ და თავისუფლად უმყოფებიათ. თავის სიწყნარითა და სილამაზით ლომმა ყველასათვის შეუყვარებია თავი. ლივერპულამდის გემით მიუყვანიათ და იქიდგან-კი რკინის გზით გაუგზავნიათ ლონდონში დედოფალთან.

— ვენაში მომხდარ მგალობელ არტისტთა კრებაზე საშინელი ჩხუბი ყოფილა და გაზეთები-კი არაფერს ამბობდნენ აქამდის. როდესაც ერთის ერცჰერცოგი მისულა კრებაზე, ბერლინელს მგალობლებს, რომელნიც კარგა გადაკრულში ბრძანებულან, ხმა მაღლა დაუძახნიათ: „hoch Deutschland“-ო, ვენელებს ეს არ მოსწონებიათ და ამის პასუხად „hoch Nabsburg“-ო დაუყვირნიათ. ამაზედ ამტყდარა ჩოჩქოლი და შემდეგ მუშტის კრივის გამოჭრევიათ. ვიდრე პოლიცია არ მოსულა, არტისტებს მუშტის ბაგა-ბუგი არ შეუჩერებიათ.

— სულთანმა პენსია დაუნიშნა სოფელ კავალოვითის მცხოვრებს, არაბ ოსმანს, რომელიც 160 წლისა შესრულდა. რომ არაბ-ოსმანი მართლა ამდენის ხნისაა, თვით სახელმწიფო ოფიციალურ ქაღალდებისგანა სჩანს თურმე.

— ნიუიორკში ერთს ყმაწვილს ყელი ასტკივნია და ტელეფონით შეუტყობინებიათ მკურნალისთვის, მოდი, წამალი გამოუწერეო. რადგანაც იმ ღამეს ავი დარი ყოფილა, მკურნალს წასვლა ვერ გაუბედნია და დაუძახნია, ყმაწვილი ტელეფონთან მოიყვანეთ და ა.. ა ა დააძახებინეთო. ამ ხმაზე მკურნალს შეუტყვია, რა ნაირადაც სტკივებია ყელი ყმაწვილსა, და ისე გამოუწერია წამალი. ყმაწვილი მორჩაო, სწერენ ამერიკის გაზეთები (sic?)

◆◆

პეტერბურგის ბირჟა, 25 სექტემ.

	მყიდველნი.	გამყიდველნი.	გარიგებულნი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	6 41
ტამოჟნის კუპონები . .	— „	„	129
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1 13	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი	228½	— „	— „
—მეორისა	212½	— „	— „
—მესამისა	214	— „	— „
გირავნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	— „	— „	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს დღეზე გემები.

განცხადებანი

სასწავლებელი ქალბატონის კუესტისა

კრუზენშტერნის ქუჩა № 9

ამზადებს ბავშვებს (ქალებს და ვაჟებს) ყველა სასწავლებელში მისაღებად. სხვათა შორის განსაკუთრებით ასწავლის ფრანგულსა და გერმანულს ენას. (15—9)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან.

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა აცნობებს ამ ბანკის საზოგადოების წევრთა, რომ თანახმად მისთა გარდაწყვეტილებათა, დადგენილთა ამა წლის 3 ივლისს და 2 აგვისტოს და ბანკის წესდების §§ 78 და 79 ძალით დანიშნულია ამა წლის 30 ოქტომბერს, ქუთაისის ქალაქს, საგანგებო საზოგადო კრება ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის წევრთა.

ამ საგანგებო კრებამ უნდა განსაჯოს ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილება, დადგენილი ამა წლის სამს ივლისს, რომელთაც ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს, კალისტრატე ნიკოლოზის ძეს ჩიქვაიძეს, არჩეულს ამა წლის 18 მაისს, განუჩინეს თანამდებობიდგან გარდაყენება, რადგანაც მან წესდების დამარღვეველი წინააღმდეგობა გაუწია ზედამხედველს კომიტეტს, როცა ეს კომიტეტი თავის თანამდებობითის ვალდებულებას ასრულებდა.

იმის მიხედვით, თუ რა შედეგი ექნება ამ მსჯელობას, საზოგადო კრებამ უნდა აირჩიოს ბანკის გამგეობის ახალი თავმჯდომარე, ანუ ზედამხედველის კომიტეტის ახალნი წევრნი.

ამის გამო ხსენებულის ბანკის საზოგადოების წევრთა უმორჩილესად ვთხოვთ, მობრძანდნენ ქუთაისს დანიშნულის ვადისათვის საზოგადო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად.

ამასთანავე კომიტეტი საჭიროდ სთვლის, წინდავე აუწყოს, რომ ხმის მისაცემი ვექილობები, კრებაზედ არა დამსწრე პირთაგან მიცემული, წესდების § 82-ის ძალით, უნდა იქმნენ წარმოდგენილნი კრებამდის სამის დღით წინ მაინც და დაწერილნი იმ ფორმით, რომელიც ამასთანავე დარიგდება.

ეს განცხადება იბეჭდება შემდეგის გარდაწყვეტილების ძალით:

1890 წელსა ივლისის 3 დღესა, ზედამხედველმა კომიტეტმა ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისამ, შედგენილმა თავმჯდომარის თავ. ს. გ. წერეთლისა და წევრთა ბ-ნთ ს. ბ. ჯორჯაძისა, ლ. ნ. ასათიანისა, ლ. თ. ლოლუასა და თავ. ა. ნ. ლორთქიფანიძისაგან, მოისმინა საქმე აღუსრულებლობაზედ კომიტეტის გარდაწყვეტილებისა ამა სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის მხრით და დაინახა შემდეგი:

პირველის დღეებიდგანვე, როდესაც წრეულს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა საზოგადო კრებამ სხდომები დაიწყო, საზოგადოებაში ხმა დაგარდა, რომ ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზედ აირჩევისათვის ადგენენ ვექილობებს იმისთანა პირებისაგან და იმისთანა პირები, რომელთაც მართლ-შემძლეობა, ანუ წესიერი უფლება არა აქვთო.

ეს ხმა დასტურ მართალ ამბად გადაიქცა არჩევანების გათავების შემდეგ, როდესაც შევიტყეთ, რომ ვექილობებს დასტა-დასტად ადგენდნენ არჩევანების წინა დღეს და თვით იმ დღესვე და მაშინაც-კი, როდესაც კენჭის-ყრა დაწყებული იყო, და ამასთანავე ადგენენ არა თვითონ ვექილები, არამედ ერთის, ან მეორე დასის შემაგულიანებელი კაცები.

ბოლოს, როდესაც დაიმალა მოხერხებით თავ მოყრილი უმრავლესობა, რომელმანაც 18 მაისს გამგეობის თავმჯდომარის არჩევანი მოახდინა, საზოგადო კრებამაც, ჯერ კიდევ ყოველისავე გაგონილისა და ნანახის ახალს შთაბეჭდილებას ქვეშ მყოფმა, განიზრახა წესიერება დაედგინა როგორც ვექილობათა წარმოდგენისათვის, აგრეთვე თვითონ არჩევანებისათვის, რომ ამ გვარად შემდეგში მაინც თავიდგან აეცილებინა და შეუძლებელი გაეხადა მოხერხებით უმრავლესობის თავმოყრა, რომელიც ძლიერ საშიშარია ბანკის ინტერესებისათვის და მის საქმეთა წესიერად მსვლელობისათვის.

იმ გარემოებათა მიხედვით, რომ ვექილობების რიცხვი აღემატა ათასს, რომ ეს ვექილობები, როგორც საყოველთაოდ გამოაცხადა კრების თავმჯდომარემ, წარდგენილნი იყვნენ, დასტა დასტად დაწესებულის ვადის შემდეგ არა თვითონ ვექილებისაგან, არამედ პარტიის კაცებისაგან და რომ ეს ვექილობები არავის შეუმოწმებია, რამდენმამე წევრმა ზედამხედველის კომიტეტისამ აზრად დასდვა, რომ მიუცილებლად საჭირო არისო ამ ვექილობების შემოწმება, რომ ამითი შევიტყოთ ნამდვილი ამბავი, დავამშვიდოთ საზოგადოებრივი აზრთა მღელვარება და განვაწესიეროთ შემდეგისათვის ვექილობათა შედგენისა და წარმოდგენის რიგი და, თუ საჭირო შეიქნა, მივიღოთ შემთხვევის შესაფერი და კომიტეტის მხრით ჯეროვანი საშუალება.

მაგრამ სანამ კომიტეტის უწინდელი თავმჯდომარე სხდომას დანიშნავდა და კომიტეტი რამე საშუალებას მიიღებდა, შემოვიდა ექსიოდე კაცის განცხადება, სადაც ნაჩვენები იყო სხვა-და-სხვა წესის დარღვევა, რომელთაც თავიდამ აცილება შეუძლებელ საქმედ გაუხდა საზოგადო კრების თავმჯდომარედ მყოფს. ეს განცხადება სხვათა შორის ამბობდა, რომ ვექილობები თავის დროზედ წარდგენილი და მიღებული არ ყოფილანო და რომ მეკენჭეები ჩასწერეს სიაში ვექილობების შეუმოწმებლადო.

ამის გამო 2 ივნისს ამა წლისას ზედამხედველმა კომიტეტმა დაადგინა: მიენდოს კომიტეტის წევრს ა. ნ. ლორთქიფანიძეს შემოწმება ყველა ვექილობებისა, რომელნიც წარსადგენელის საზოგადო კრებისათვის იყვნენ წარმოდგენილნი, რომ ამითი შევიტყოთ მინდობილებათა წესიერება, ვთხოვოთ მას, რომ ამ საქმეს დაუყოვნებლად შეუდგეს და გათავებისათანავე ამ შემოწმების შედეგი კომიტეტს მოახსენოს.

ამ კომიტეტს გარდაწყვეტილების აღსასრულებლად თავ. ლორთქიფანიძე მივიდა ბანკში, რომ გამოერთვა ვექილობები გასსინჯვისათვის, რომელსაც ისინი შენახული ჰქონდა საზოგადო კრების თავმჯდომარის მინდობილობით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ვექილობები სამს ივნისს დილით წაეღო კასსიდგან ამ ვექილობების ძალით ახლად აირჩეულს გამგეობის თავმჯდომარეს კ. ნ. ჩიქვაიძეს და თან გაეყოლებია ყველა სიები ბანკის დამფუძნებელთა და მესესხებელთა, კომიტეტის წევრმა ლორთქიფანიძემ რამდენჯერმე ითხოვა ამ ვექილობების დაბრუნება, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო ბ. — ჩიქვაიძისაგან, რომელმანაც ბოლოს მოსთხოვა ლორთქიფანიძეს ფორმალური ქაღალდი. ეს მოთხოვნილება ლორთქიფანიძემ შეასრულა 5 ივნისს და მისცა გამგეობას წერილობითი წინადადება, რომ გადაეცათ მისთვის უწესოდ მოტაცებული ბ. ჩიქვაიძისაგან ვექილობები.

ეს წინადადება, რომელზედაც ბ. ჩიქვაიძეს დაეწერა, „მოახსენდესო გამგეობას 7 ივნისსა, განიხილა გამგეობამ და პასუხად გამოუგზავნა კომიტეტს 125 კაცისაგან ხელმოწერილი განცხადება, რომლითაც ესენი სთხოვდნენ გამგეობას, მფარველ ექმენით საზოგადო კრების უფლებასა და იხსენით გი ზედამხედველის კომიტეტისაგანო, იმ მიზეზით, რომ ამ განცხადების ზარი ვითომც მჭიდროდ შეკავშირებული უფლებიერის კომიტეტისაგან გარდაწყვეტილის ვექილობების შესწორებაშიან, ბანკის გამგეობა განუდგა ზედამხედველს კომიტეტს და არ აღასრულა მისი მოთხოვნილება და, თითქოს ჯერ არ შეეტყო მას, თუ რაში მდგომარეობდა კომიტეტის უფლება, მოსთხოვა მან კომიტეტს, გვაცნობე თქვენი აზრი და განზრახვა ამ საგანზედო.

კომიტეტმა უადგილოდ იცნო გაემართა გამგეობასთან განმარტებითი მიწერ-მოწერა მაზედ, თუ რა განზრახვით აპირებდა იგი საქმის დაწყებას და ამით დააკმაყოფილებინა გამგეობის ცნობის მოყვარეობა, უადგილოდ იცნო პირველად იმის გამო, რომ გამგეობას უფლება არა ჰქონდა მოეთხოვა კომიტეტისაგან რაიმე პასუხი, ან ეგზამენი ეყო მისთვის და მეორედ იმის გამო, რომ კომიტეტს არ შეეძლო შეეტყობინებია აზრი იმ საგანზედ, რომელიც მას არ განუხილავს და არ განუხილავს თითონ გამგეობის მიზეზით. ამის გამო კომიტეტმა 11 ივნისს გადასწყვიტა: მიეწეროს ხელახლად გამგეობას, რომ სამის დღის განმავლობაში აღასრულოს მან ზედამხედველის კომიტეტის მოთხოვნილება 2 ივნისის გარდაწყვეტილებაში გამოთქმული.

ამ მოთხოვნილების პასუხად ჩვენ მივიღეთ ყველასაგან ცნობილი ეპისტოლე ბ. ჩიქვაიძისა, რომელზედაც საუბარი, კომიტეტის აზრით, უადგილო იქნებოდა, სხვათა შორის იმის გამო, რომ წერილი არ შეიცავს არავითარს საქმის შესახებს საინტერესო კითხვის განმარტებას. ამის გამო კომიტეტმა აღძრა კითხვა, თუ რა პასუხის გებას უნდა მიეცნენ გამგეობის წევრნი და მისი თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილებათა აღუსრულებლობისათვის და დაადგინა 21 ივნისს: ეკითხოს თითოეულს მათგანს, თუ რისთვის არ ასრულებენ ისინი კომიტეტის დადგენილობას.

განმარტებაში, რომელიც გამგეობამ კომიტეტს წარუდგინა, ნათქვამია, რომ გამგეობა იმიტომ ვერ ასრულებს კომიტეტის მოთხოვნილებას, რომ გამგეობას, როგორც შეკრებილობითს დაწესებულებას, არაოდეს ხელში არ ჰქონია ვექილობები, რადგანაც ისინი ეკუთვნიან საზოგადო კრებისა და კომიტეტის საქმეებს და რომ ეს ვექილობები ამ ჟამად უპყრავსო გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ჩიქვაიძეს, როგორც კერძო პირს.

ამ გვარად აღმოჩნდა, რომ ზედამხედველს კომიტეტს თავის ვალდებულების აღსრულებაში ხელი შეუშალა გამგეობის თავმჯდომარემ კ. ჩიქვაიძემ იმა სიებისა და ვექილობებათა მოტაცებით, რომელთა ძალითაც ის 18 მაისს არჩეული აღმოჩნდა და რომელთაც ის არ გასცემს უშველად იმ განზრახვით, რომ მოუშალოს კომიტეტს მათი შემოწმება, რადგანაც მას ეშინიან, არ გამოაშკარავდეს, რომ უმრავლესობა საზოგადო კრებისა 18 მაისს იყო შედგენილი მოხერხებით.

ამ გვარმა გამგეობის თავმჯდომარის თვითნებობამ და უკანონო მოქმედებამ, რომელიც მან ჩაიდინა პირადის განზრახულებით, საფუძვლიანს ეჭვში შეიყვანა ზედამხედველი კომიტეტი და შეაშინა იგი, რომ ბანკის საქმეთა წესიერად მსვლელობა მომავალში არ დაირღვეს და ამასთანავე დაგვანახა, თუ რა კადნიერებით აღიჭურვება ბ. ჩიქვაიძე იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა გამოაშკარავდა სხვა რამე უდიდესი ბოროტ-მოქმედება მისი.

ამისთვის ზედამხედველმა კომიტეტმა მიიჩნია ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ყოფნა ჩიქვაიძისა ძლიერ მავნებლად ბანკის არსებობისათვის და მიუცილებელ საჭიროებად სცნო, გაასამართლოს იგი § 78-ის 15 მუხ. ძალით ქუთაისის სათავად-აზნაურ ბანკის წესდებისა.

ამას შემდეგ ზედამხედველი კომიტეტი შეუდგა გამგეობის დანარჩენ წევრთა, ბბ. ჯაიანისა და ერისთავის, დანაშაულობის განსჯას კომიტეტის გარდაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის და ჰპოებს, რომ ეს გამგეობის წევრნი, მათის პასუხის თანახმად და თუ საქმეს ფორმალურის თვალით შევხედავთ, მართალნი არიან, რადგანაც მათთვის, როგორც გამგეობის წევრთათვის, არავის არ ჩაუბარებია ვექილობები, რომელნიც კომიტეტის საქმეებში და კომიტეტის ხელში ირიცხებოდნენ, მაგრამ გამგეობის თავსმჯდომარემ-კი ხელში ჩაიგდო.

ზედამხედველმა კომიტეტმა მიიღო მხედველობაში ყოველივე ზემო ნათქვამი და განაჩინა: გადაყენებულ იქმნეს თანამდებობიდგან ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიქვაიძე და ეს განჩინება წარედგინოს განსასჯელად საგანგებო საზოგადო კრებას და კითხვა გამგეობის დანარჩენ წევრთა, თავ. ერისთავის და ბ-ნ ჯაიანის, პასუხის გებაზედ-კი დატოვებულ იქმნეს უშედეგოდ (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

	მან.	კაპ.
მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა	„	20
თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი	„	40
ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა	„	15
ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა.	„	50
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი	„	15
კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა .	„	20
განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . .	„	60
ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„	25
ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა	„	40
იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა	„	10
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
გრამატიკა ქორდანიასი .	„	55

Доз. цен. Тифлисъ, 28-го Сентября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Бароной и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე